

38
1916 / 4



თეატრი და სხეულები




ხათყვრი სალიტერატურო „ქერნალი“

№ 34 — 1916 ვ ა ს ი
კვირა, 21 მარტამ. 12 კაბ.

ქურნალი „თეატრი და სხეულები“
წლიურად 5 მ, ნახევარი წლით 3 მ. გაუერა შეიძლე-
ბა ფოსტით: Тифлись, Ред. „Театри да Цховრება“
Иос. Иведашвили. პირისპი: „სორაპნი“ ს- სტაპაპაში.


წალ. მეოთხე
გამოსემისა



გიორგი ჯუკოვსკი
ვიჩი (გ. მაიაშვილი)
ენობლი - მწერალი და საზოგადო
მოღვაწე. მისი ავადმყოფობის გამო,
(გადღებულთა ახალგაზღბაში)



სალომე ზეჟენისა
გურგენიძისა
ზვი ქელოქიძე, რომლის
მთელი თავისი ქონება-ფულს,
მ მულეტი, ვენახები და ტყე კა-
რთულ გიმნაზიას უანდერბა და-
კრძალეს მარიაპოლისთვის 41
ხოჯიგანკის სასაფლაოზე.



მარიამოპოსტონის 21

მონდომება სიკვდილის შიშით სიტონსლე-
ლა ზედ ადრევე ხელს აწაფინ
მოქმედება. იღებს, დადამების შილოდინში
შესეს ნაადრევად აწაფინ ვთხოვება...

რა ეუფათ, რომ ჩვენი ქვეყნის სულიერ ნი-
ვთიერ განვითარებას ათავსებთ ხელფაქური და-
ბრკოლება წინ ედებება? რა ეუფათ, რომ სკრთა-
შორისო თმანობის კოტონმა ჩვენს ქვეყანასდ
შოსთხოვა მსხვერპლი და შესამე წყვილია,
რაც ჩვენი საუკეთესო ვაჟები იმს ზვანად ეწი-
რებაან? — განა უფრედივე ამან სხსო უნდა წარ-
გვივეთოს?

ანა და არა! „ჭირსა შიგან გამავრებაო“,
სამ ჩვენი დიდებულ წინაპრთა ანდრძობა...

ამ თრითვე კვირასში სომარ ველისკენ კი-
დეგ უმერი ხალხი გაივრთება, მატრამ ჩვენი ქვე-
ყანა ისე არ დამარება, რომ ადრევე გული გა-
ვიტეხთ და ცხოვრების ძარღვის ტუმა შევწვი-
ტოთ: სწორედ ახლა, ამ საერთო ნგრევა შენების
დროს, უნდა გამოვიჩინოთ უნარი და ჩვენი ში-
ნაური კულტურული — სულიერ-ნივთიერი სასლო-
რძინებელი სქმინაობა გავანადოთ.

ჩვენი სათაერთო ხელფაქურების მუშაგნი მო-
ვალენი არიან ამ თავითვე შეუდგენენ თადრიბს,
შეადგინონ დასნი, შეიმუშაონ რეპრტურაო მტკი-
ნე, იდეური დასნი, რაც შეიძლება, გარვეული სა-
ხისა, და თავის დროზე მუშაობაზე გაანადონ.

მონდომება და მოქმედება, — აი, უნინა-
რი ძალა, რომლისა წინაშე უფრედი დაბრკოლება
გადილახება...

გუშათა სრუ მოვარუთავეს

ვინც შორით თვალს უჭანსურებს,
მას არ ძალუქს მუშის ტნობა;
ვერც მიხვდება მის ზღვა გულში
რც ღვთიური ღვრვის გრძნობა.

ვისადა ჭსურს „შაგი ხალხის“
სამსახური, თანავრძნობა: —
შეიფაროს, — მას შესწროს
თვისი კერძო პირადობა.

გუგუნიძე

კახეთი

და მისი დღევანდელი მდგომარეობა (მგზავრის შთაბეჭდილება)

ძვირფასო მეგობარო ვსრულეთ თქვენს
სამართლიან სურვილს და დღეიდან ვიწყებ
„თეატრი და ცხოვრება“-ში წერილების ბეჭდ-
ვას, სადაც შეძლებისა დგვართ ვეცდები
მოკლეთ გავაცნოთ თქვენ და სხვა მკითხვე-
ლებს ჩემი ნახულ-გაგონილი კახეთში მოგზა-
ურობის დროს.

ჩვენი ხალხი ამბობს: „თურაშაულის პა-
ტრონი ტყეში დედებს პ.ნ.ტასო“, — ეს აზრიანი
ანდაზა ჩვენ — ქართველებზე ზედამოჭრილია:
ჩვენსას, რაც გინდა ძვირფასო (ყოფ, ყურად-
ღებას არ ვაქცევთ; სხვისზე-კი, რომელიც
ღირსებით ჩვენს ნახევარსაც ვერ შეედრება,
თვალი გვჩაჩება უსწავლო ხალხი ანგა-
რიში რომ არ ჩაეთვლოთ, ამ შემდღარ და
ყალბ გზას ადგია ჩვენი წინსვლაობა ანუ გვ-
რეთ წოდებული რიტელიგენცია“. ზოგიერთი
„მედიკოსიანი“ ალტაცეზით დავიხატავთ ვეროპის
რომელიმე კუთხე-მხარეს; მგვრამ თავის ქვე-
ყანაზე კონტრასტ ვერ დასძრავს, რადგან
სიჭაბუკის დღეებს ვეროპაში ატარებს, ვაჭა-
კობისას-კი ცხრა კლიტულ კახეთებში.

სწორეთ ამიტომია, რომ თურაშაულისა-
თვის გვერდი აუვლიათ და პანტისათვის ჯ.ნს
იგდებინებენ.

უშეკვლია, კახეთი რომ სხვისი ყოფილი-
ყო, ჩვენ — ქართველებსაც შესწავლილი გვექნე-
ზოდა, მგვრამ რაკი ჩვენი, ჩვეულებისამებრ
თავი მივიწებები, და არ ვეცით რა მდგომარე-
ობას განიცდის ტურფა მხარე; უნდა ვი-
ცოდეთ კი უსაზოოთ, რადგან ყოველი ჩვენი
მტერ-მოყვარე კახეთს კალიასავით მისეგია,
და ის მამული, ის მიწა, რომელიც მრავალ
საუკუნეთა განმავლობაში ქართველ გმირთა
სისხლით ირწყურდა, დღეს ათას ჭჭარი ოსტა-
ტობით სხვების ხელში გადადის.

შთელი კახეთის ბატონ-პატრონი თი-
თქმის თვალ-ანზაურობა, რომელიც ამ
ძვირფას მიწა-წყალს გაჩქარებით ეძ-
ღევს უცხო ჩარჩ-ვაქრებს; სულ უშეკი-
რისობა მემამულეთა, რომელთაც არ ჩაქტრო-

ბათ გრძნობა მამულიშვილური, იკავებენ თავს, და თავიანთ მამულს ქართველ გლეხებს აძენინებენ. მაგრამ უმრავლესობა არ დავიდევს ამას: ხშირათ რომელიმე მემამულე გლეხის ჯიბრზე მამულს უცხოზე ჰყიდის; მას ვერ უგრძნობია, რომ ასეთი მოქმედება არა მარტო გლეხს სჯის,—მთელ სამშობლოს ყელსაქცის, თავისა და სხვებისათვის უბედურებას იხსლოვებს.

გულშემწარავი ამბავი ზიანზე: გურჯაანელმა გლეხებმა: ჩენი ნაბატონარი მიწასა ჰყიდიდა. გავიგეთ რომ სომეხი დესტინაში 90 შ. აძლევდა. ჩენი—გლეხები დაგვროგდით, მემამულეს ვიახელით და ვსთხოვეთ მამული ჩენთვის მოეცა. დესტინა 100 მ. თავადი შეკვირდა, მაგრამ მერე პირი გვიცვალა, და მოკროვილი 2000 მანეთი თავზე გადმოგვახალა. გულ-გახეთქილი გავიქეციეთ ქადალოს სასამართლოში, სადაც მემამულეს სომხისთვის პირობა უნდა შეეკრა; ვფიქრობდით ეგებ მემამულე დაგვთანხმებულყო, მაგრამ დაგვინახეს თუ არა სომხებმა (აღბათ მყიდველს სხვა სომეხებიც ახლდნენ), მაუხერები მოგვიდერეს და სიკდილს დაგვემუქრენ, ვერაფერი გვდარ მოვანერხეთ, მამული დაგვეკარგაო, — დააბოლოვა გულდამწვარმა გლეხმა და დასძინა: „გულმოსულმა შეაკვავ პირი მემამულეს და ისე გავლანძღე, რომ ალაზანიც ვეღარ გაჩეცხავაღოა,

ჯადარ რაჭველი

3002

მემოგბარს

მენ გსურს იცოდო რისთვის მიყვარხარ, რისთვის გაფასებ უმაღლეს გრძნობით? — უმანკო რომ ხარ და შენი გული საესეა მარად უზადო ტრფობით. თუ შემდეგ მიეც ცხოვრობის გზაზე ივლი უკვლელად შენ აწყყოს დარად, — გუნდრუეს დაგიკმევ და აღტაცებით შენთვის ვიმღერებ მარად და მარად!.

დარია ახვლედიანისა



შიქრები ვრთა- მოცხეხილისა

ოთხი მხსვერპლნი.

ოთხი თვის განმავლობაში აღარაფერი ვამეგო ჩემი უმტროსი ძმისა, რომელიც ოსმალეთის ასპარზე ხანგრძლივი და ცხარე ბრძოლის უნებლიე მონაწილე უნდა ვანხლარიყო. ჩემი გულის მღელვარება მით უფრო იზრდებოდა, რომ წინაღ ჩვეული ვიყავ მუდამ კვირის თავზე წყრილის მიღებისა. თუმცა მე, დაპირებისამებრ, იწევ განვარძობი ვადაზე შინაური ამბების მიწვდას, მაგრამ პასუხი... პასუხი ძლიერ იგვიანებდა და ეს დაგვიანება, ჩემის ფიქრით, კეთილს არაფერს მოასწავებდა. ცნობისმოყვარეობა მძლევდა — ვაგეუებს ბეჯითად ვთავლიერებდი, მაგრამ იმავე დროს შიშის ზარით ვიყავ შეპყრობილი: ვაი თუ ჩემი ძმის სახელს მოკლულთა სიაში შეგებჩებოდი. მაგრამ ვაზუბების კითხვამ უნაყოფოდ ჩამოარა. ნაცნობებმა მიჩჩიეს სამხედრო ოლქის შტაბისათვის მიმემართა, სადაც დანიშნული ყოფილა განსაკუთრებული მოხელე ომში მყოფთა თავგადასავლის შესახებ ცნობების შესაკროვებლად და მსურველთათვის გარდასაცემად.

მეც ვავებართე შტაბისაკენ. ოთახი, სადაც მეომართა ნათესავებს იღებდნენ, ჯაკნაოდ ფართო იყო და სულ გავსებული ხალხით. ყველს, ვინც ახლად შემოდიოდა, მოხელე მსწრაფლ მიმართავდა ხოლმე წინადადებით:

— დასწვრეთ გვარი, სახელი, წოდება თქვენი ნათესავისა, აგრეთვე აღნიშნეთ იმჯარის ნაწილი, სადაც ის მსახურობს და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღებთ საჭირო ცნობებსო.

რასაკვირველია, ყველა ემოჩილიბოდა ამ მოთხოვნილებას. მეც ავიღე იქვე მაგიდაზე ამ სენისათვის დამხალბული პატარა ქაღალდის ნაჭერი, დაგნიშნე, რაც საჭირო იყო, და მოხელეს გადავეცი.

პასუხი-კი თითქმის ყველასათვის საკმარად იგვიანებდა. ბევრი, მოთმინებიდან გამოსთლი, აღარც-კი იღდიდა, ისე ცალიერი ბრუნდებოდა შინ. რაკი ეს შეგნიშნე, მივიდგი გრძელად

მედიის ბოლოში სკაში, აღვიპურვე მხნეო-
ბით და დავიწყე ლოდინი.

ლოდინმა სამი საათი გასტანა. ნეტა რა
არ განვიცადე, რა არ ვნახე და რა არ გავი
გონე ამ ხნის განმავლობაში!

შესწავდა, ვინ რა პასუხს იღებდა: ზოგს
ეუბნებოდნენ „მოკლულიაო, ზოგს—„დაქრი
დაიაო“, ზოგს—„ცნობები ჯერ არ მიგვიღი-
აო“, და სხ.

ვხედავდი, რა პასუხს რა შედეგი მოადე-
ვდა. მომეტებულ შემთხვევაში უფრო გულ-
გამგმირავი კეთილნი ისმოდა, გუფთარებულ სა-
ხეზე აქანკალბებულის ხელით ცრემლებს წმე-
ნდას ხომ ბოლო არ ჰქონდა.

სურათი მეტად მძიმე და დამაფიქრებელი
იყო. მეც ფიქრებმა მომიცვია, რასაკვირველია,
ომიანობაზე. მთელს ჩემს სიცოცხლეში ჩემს
გონებას ომიანობის უსამართლობა და ვერა-
გობა ისე მკაფიოდ და ნათლად არას დროს
არ დაუსახავს, როგორც ამ წუთებში.

მე დავასკვენ, რომ ომი უსათუოდ ნა-
შთია ადამიანის ველურობისა; რომ მიუხედა-
ვად კაცობრიობის ძველი და ახალი კულტუ-
რისა, ცივილიზაციისა, ათასგვარ გამოგონე-
ბისა და ახალ-ახალ საოცარ აღმოჩენებისა,
ადამიანის ტვინში ბევრი მხეცური ინსტიქტი
ბურობს; რომ ეს ინსტიქტები არსებულა და-
სახაშითან დღემდის და იარსებებს ვიდრე და-
შინა თავის. საზოგადოების, ქუქუანის ფეხებით
სთელავს მშვენიერ, ჯადოსნურ და მდიდარ
ბუნებით შემკულ დედამიწის ზურგს; რო-
მის ეშხით დამთვრალი ხალხი ტყუილად
გბოტინება „სახარებასა; რ-მ სახარება და
ომი—ეს ორი ერთმანეთთან შეუსაბამო, მო-
ურიგებელი, შეუფარდებელი და საწინააღმდე-
გო ცნებაა; რომ ვისაც ომი ჰსურს, იმან ჯერ
უნდა უარჰყოს სახარება, იერე საკუთარი ტა-
ძრები ჯანაღდგუროს და მხოლოდ მას შემდეგ
აიღოს ხელში თოფ-ზარბაზანი.

სადიადე ყოველი რელიგიისა და ცივი-
ლიზაციისა უნდა გამოიხატებოდეს ადამიანის
სიცოცხლის დაცვაში და არა მის სისხლის
დგარში.

ამ ფიქრებში რომ ვიყავ გართული, ოთა-
ხში შემოვიდა სიბერისაგან წელში მოხრილი

ყავარჯენზე დაყრდომილი, შავ, გახუნებულ
ტანისამოსში გახვეული ქართველი დედაბერი
ამ სუსტი ნაბიჯით პირდაპირ მორბე მოხე-
ლესთან მივიდა.

ამ საბრალო ადამიანს ყოველისფრით ისე-
თი უბადრუტი შეხედულობა ჰქონდა, რომ
ფიცხლავ მიიპყრა ჩემი ყურადღება.

ბარათს დაწვრაცკი არ დასქირდა: ემ-
ჩნეოდა მოხელე პირველად არ ჰხედავდა ამ
მოხუცს. მისვლის უმაღლე იგი მას მოუბრუნ-
და და თითქო გაზვიარებულის კილოთი წა-
სწურჩულა:

— თქვენი შვილების შესახებ ცნობები
კიდევ არ მოგვსვლია, დედი, მერე მოხმანდით.

— სულ მერე და მერე: რა უბედურე-
ბაა, —თითქმის პირტუყვის ხმაზედ შეჭბლავლა
მოხუცებულმა, —დავიღალე, მოვიქანცე აქ სი-
აყლით და ოთხ შვილში ერთის ამბავსაც არ
მატყობინებენ ამდენი ხანია!

-- აღბად უბრალო ჯარის კაცები იქნე-
ბიან თქვენი შვილები, — გამოგვხმაურე მო-
ხუცებულს.

— არა, შენ გენაცვალოს ჩემი თავი.—
ოთხივე აფიცრები არიან. პირველად დროვა-
მოშვებით წერილები მომდოდა იმათთაგან.
ახლა ექვსი თვე სრულდება, რაც არც ერთი-
სა აღარაფერი მსმენია, კვირაში ერთხელ მო-
ვიდივარ აქ; ყოველთვის ორი-სამი საათი მა-
ლოდინებენ; ხან სრულიად ცურადღებას არ
მაქცევენ და ხან მისტუმრებენ იმით, რომ
მეუბნებიან „მერე მოდიო“; შებრალება არა-
ვისა შექვს, არც ჩემ მოხუცებულობას სცემენ
პატეს, აღბად ცნობის გადმოცემაში ფუ-
ლის მიღება თუ ჰსურთ. რა ეჭვა, ღარიბი
ვარ; ორ შაურს და ამაზს ხომ ვერ შევკ-
დრებ და შეჯის გაღება კიდევ მე არ შე-
მიძლიან.

მოხუცებულმა ტირილი დაიწყო, თვა-
ლებზე ხელსახოცი მიიღო და კუთხეში მო-
შორებით დაღებულ სკამისკენ მიიღო პარი.

ჩემი გული საშინლად აღაშფოთა ცალ-
კე ამ დედაბრის მწუხარებამ, ცალკე იმ მო-
ხელის მოქმედებამ, რომელიც მეტად გულ-
კვალ, უგრძობებლად და მზავგრულად მეჩვენა.



მსწრაფლ აღმეძრა სურვილი გამოსა-
ჩრღებისა.

— ბატონო,— ცოტა უკმეხად მიემართე
მოხელეს,— რა მიზეზია ამ დაუსტებულ მო-
ხუცებულს ექვსი თვის განმავლობაში არ
ატყობინებთ თავის შეიღების ამბავს, მერე
ისიც ფურცლისა? ეს ხომ დიდი უსამართ-
ლობაა, სხვა უფრო კუდი სახელი რომ არ
ეუწოლო!

— თქვენ გეტყობათ,— მომიგო ჩემის ხმის
კილოთი აღფრევულმა მოხელემ,— ძალიან
გულტკეილი და სიმართლის მოყვარული
ბრძანებულ ხართ. აი, ეს მოხუცი და ეს კ-
დნე ნამდვილი ამბავი: რადგან მე ამისთვის
ლონდონ და გამბედილობა არ შემწყვეს, ამიტომ
ეკისრეთ თქვენ და გარდაცით, რომ ოთხივე
მაგისი შეიღი დახობილები არიან.

ამის გავიგებზე მუცელში ენა ჩამვივარდა,
გავშრი, თავხარი დამეცა, შერცხენილი და
უზღვროდ შეწყუხებული გამოვბრუნდი ჩე-
მი სკამისკენ.

ორიოდე წუთის შემდეგ სხვა მოხელემ
მე გამომიძახა და მითხრა: „თქვენც მა ცო-
ცხალია და კარგადაც არისო.“

წუთისოფელი, ვი რა კრელი ხარი..
ჩემი ძმის კი ამბავმა მალე დამვიწყა დე-
დაბერის შემზარავი უმედურება.

და... შინ დამშვიდებული წამოველ...
ალ. მიჩინაშვილი



პრაპორჩიკი ვიქ სამ. ელისაბედაშვილი
ექვსი თვეა კავკასიის სომარ ასპარზზეა, უკანასკნელ
ბრძოლაში მამაკურ მონაწილობის გამო მიიღო ჯი-
ლდობები ანნი 2 ხარისხ; სტანისლავ 8 ხარ. წარდგე-
ნილი პოდპორუჩიკობაზე.

წმინდა ხელოვნება

„უოველი ხელოვანი თავისი ქმნილებით
გულში უნდა გვიტარდეს საუკეთესო გრძობებს,
უნდა გვითათუდეს საუკეთესო იდეებს“ —
სწერს საფრანგეთის სახელოვანი მწერალი ქალი
ფორე-სახი ამჟებ ქვეყნის გამოჩენილ პოეტს
შარდ ზანსს. ამით ფორე სანდმა აშკარად გა-
ლაშქრა ხელოვნების ერთი მამარულები, ე. წ.
„ხელოვნება ხელოვნებისათვის“-ის წინააღმდეგ
თუ კი საერთოდ ხელოვნებას ცხოვრებას უნდა
ემსახურებოდეს, კერძოდ სათეატრო ხელოვნე-
ბას სხვა დარგებზე მეტი მოვალეობა ეკისრება;
სათეატრო ხელოვნებას მრავალ მუხურებულთ-
ს აქვს საქმე, დანარჩენებს უფრო ერთეულთან.
თუ კი უოველ ნამუშეა საჭირო სიფრთხილე,
მასის ტარება-გრძობაზე შექმედების დროს ის
შეგლახე უფრო საჭიროა.

თუ კი მასის თვალში რამეს ფასი დაეკარ-
გა; მისი ადგენა ერთობ ძნელია, ხშირად შეუ-
ძლებელიც.

მოკლედ: სათეატრო ხელოვნებამ მუხურე-
ლებში საუკეთესო გრძობების გაღვივება უნდა
დაისახოს მიზნად; ამ მიზანს კი ძლიერ ფრთხი-
ლად უნდა ემსახუროს. წინა წერილში *) გწერ-
დი, სათეატრო ხელოვნება სათუთია და მის მო-
სმსახურე-ხელოვანს უფიქვლად უნდა ჰქონ-
დეს განდვის უნარ-ნატი მეთქი. ხელოვნების
სიწმინდის დასაცავად ეს უნდა ელბედად მიმჩნია.
რომელი თეატრიც ამ ძალას მოკლებულია, ის
ხელოვნებას არ ემსახურება.

ამ მხრით მეტად უნუგეშო მირობებშია
ჩვენი თეატრი. ჩვენი საერთო სენია: ყველა-
ფერს მნატად ვეკიდებით.

მაგისის და სათეატრო ხელოვნებას ყვე-
ლაზე მეტი უბედურება დაატედა ჩვენში ამ სე-
ნის განს: დღეს ყველა წერა-კითხვის მტოდნე
ქართულს აქვს რსაკუთარი დეკლეს კრებულისა
და—კიდევ უარესი—ყველა ღამაჩაგის მტოდნეს
უნდა სტენაზე თამაში, თუ კი მას ერთხელ მიანტ
უნახავს თუნდაც უხეიროდ დადგმული მაისა...
თუმცა ამ საერთო პოეტობისა გამო ნამდვი-
ლი პოეტი ვერ გაგვიჩნევია ნამაღვლე „მოე-

*) იხ. „თეატრი და ცხოვრება“ № 32.

ტისკანა“; მაგრამ, თუკრთან შედარებით, ეს არც ისეთი უბედურებაა: რამეთუ თუ ვთქვამთ, რომ ახალგაზრდა რამდენიმე თვის განმავლობაში თავის ლექსების თუნდაც სულ პირველს დასაბუთებულს და შემდეგ მუსსა, შეითუფრება, — მწერლობას თავს ანებებს. თუკრის ბუღის სხვა-ნაირია. ჩვენში ისეთ ინტელიგენტს ვაძევ მონახავთ, რომელსაც გაკეთში ლექსი არ დაეუბუღოს, მაგრამ სტენისზე რომ არ ეთამაშოს, ისეთ ინტელიგენტს, განსაკუთრებით პრინციპში, ძვირად ნახავთ. წარმოდგენის გამართვა თუ შესატყუებ სკანად მიხნიათ. მხოლოდ თბილის-ქუთაისში თუ ნახავთ ვიგისი შეგებულ ჯამსრულელებს; ბაქო, ბათუმი, ხაშური, ჭიათურა და ამ ბოლოდ დროს სამტრედიას ვაძევ შეიძლება გამოხედავდეთ ჩართვას. სხვა სტენების ერთი ან ორი შეგებულ მითამაშე თუ ჭყავს, ესეც დიდა ბედნიერებაა. განსაკუთრებით საშინელ სეზონებში რათუბს საფუძვლობით ისედაც სოფლებში.

— კარო, ღამის მოწყენილობაში გადაგვიტანოს. *) მოდი, ერთი წარმოდგენა გავმართოთ, — ეუბნება სოფელში მომწველელთა ერთი ინტელიგენტი მეორეს.

— რომელი მიესა დაგვკათ, ან ვინ ვათამაშოთ? — ეითხება მეორე.

— ფოდიელები, კარო! სდამე გამოყანახოთ რომელიც უნდა იქოს, მითამაშებსაც ვითვით: მე, შენ, ვერსინე და სხ. — მიუგებს პირველი.

— ახლო-მახლო სოფლებიდან რაც კარგი ქალიშვილებია, სულ დაგვატიყოთ! — აღტაცებით შესძახებს ორივენი და სთუკრთ ხელოვნების საქმედ გამოწეობილია. ტანმოსართავი ვეგაა მიესისთვის სოფლის გოკო-ბიჭების ტანსაცმედა; დეკორაცია — სისღის, ან სისწავლების მოთხუნული კვდლები. ამისზე საზრუნავად ვის სცადა, როცა ახლო-მახლო სოფლებიდან ქალიშვილებია მოსამატეებელი და ბართება დასატყავნი. ამისზე შორს არც დერფინი წასულა, როცა მან პოეზია მამანქების დროს მოსართმევ დიონათს შეადარა.

საფუძვლობით ამ საქმეში დიდ ენერჯიას იხნის მოსწავლე ახალგაზრდა. მათში ორ-სამს თუ ექნება შეგებულ ხელოვნების მიზანი, ისიც კარგი. მათი მიზანია, უმთავრესად, განართობად

*) რაღა თქმა უნდა, ეს ყველას არ შეეხება.

ახალგაზრდების შეურა და მათ წინაშე სტენისზე კოხტაობა.“ მაჟურელებს, მართლაც, ახლო-მახლო სოფლების მთარშევე ქალ ვაგები შედგენენ. გლეხებში ერთ-ორს თუ ნახავთ, ისინიც ხელზე მოსამსახურენი იქნებიან... განა ასეთი წარმოდგენები სელოვნების მიზანს ოდნავ მაინც კისხურებია? პირიქით, დათურ სამსახურს უწვევნი!

ხელოვნების უოველმა პატრიარსმეველმა პირმა შესთვროთ ზომები უნდა მიიღოს ასეთ წარმოდგენების მართვის წინააღმდეგ.

სულ ათიოდე წლის წინად ჩვენს სოფლებში მოსმართული იყო არდნები. მის გარშემო იკრებიებოდნენ, თამაშობდნენ, დაუბობდნენ; მის ხმაზე ქალ-ვაჭნი მთელ დამეებს ათენებდნენ. წარმოდგენა ცოტა უკეთეს სახით ამავე დროს თამაშობს ხშირად: ახალგაზრდა შეიკრებიან, თავს შეიძინებენ და უადრ განატარებენ — სახლში წავლენ...

თქმელის შემდეგ ბევრი არ დასვამს ასეთ კითხვებს: როგორ ასრულდებენ დროებს მითამაშენი? როგორ უსმენენ მაჟურელები? როგორ შთაბეჭდილებას სტოვებს ხალხზე ასეთი წარმოდგენა? ჩვენ ამ კითხვებზე ვუპასუხოთ.

არ. ფანცულაია.



უბედურად დაღუპული ამხანაგნი კიკია — ფშაველი და გრ. ხერხეულიძე

(მათის გარდაცვალების ორმოცის შესრულება გამო. დღეს ნაბალაღვის ივერიის ეკლესიაში პანაშვილი აღნიშნული გრ. ხერხეულიძის სულის მოხასენებლად.)

ნაწვეეტები გრ. ხერხეულიძის დღიურებიდან

(გაგრძელება. იხ. „ო.“ და „ც.“ № 32)

დეკემბრის 25

შობა დღეს... უცხოეთში ვარ... ასე უკვე მერად, უკვლად პირველად ვეგებები შობას.



ჩემს ოთახში სიმუქდროვება... გარდ თოვლი
 დევს... ჭეინავს.. თქ!.. მდივს, მდივს!.. მარტო
 ვარ უცხოეთში... ჭურ არავის შეიშოვდა ოთახის
 კარები. ახლოს არავინ არა... მშობლები?!. შორს
 ვაშუთფები მათგან... მეგობარი?!. არც მე-
 გობარი მყავს ახლო. გუშინ წყრომით სარტყვა
 პირში მომახლო... განშორდა... შემომწყრა.
 თვალს ტრემლი მომერია. მუტარება. გული კვდ-
 ბა... ვიხრწობი.. აკერ ტრემლი მოსწიდა თვა-
 ლს; დაბ-ღუბით ტაღმოდის. ნადგელი ოდნავ
 სძლია.. შეგობარა?!. თქ!.. მარტო ვარ.. უცხო-
 ეთში... მისაღოდ ბუნებრივ ტრეცად დრინტელობს.
 კარგია, რომ ეს ტეცელი მითობს მომავლის
 იმედებს... შობა... შობა...

დეკემბრის 25

ვერავი, მსჯავრობა ღამიანის მკვიერ რომ
 ღმერთს სულ ოთხ-ფეხი ცხოველი გაქინა ისა
 სჯობდა. ან რა გასაჩენია საყოველთაოდ აღ-
 მიანი?!.—ღმერთისავე საკინებლად?!. ცბიერი
 ენა მანც თავის სიბოროტეს არ დაიშლის, სა-
 დმე შიწწრეულადგელას ღაცშინავს, დატეკებს.
 ასეთეთი ბლომად არიან ჩვენში და აი, ვგო-
 რი. ისიც ამ უკანასკნელთა რიცხვს ეკუთვნის.
 რადგან საჭიროებისამებრ დღეს ჩემთვის აშკარაა
 მისი ფიზიონომია—აგი ჩემთვის საშიშრებს
 ა დარ წარმადგენს, ჩიტო მასეში გაება და თუ
 აღრთასადღება; თვითონვე მოიტებს თავის სუსტ
 ფრთებს. ბეგრჯერ მიდვარძდა, ბეგრჯერ ითვა-
 ლთამქტა; წყადს გამტრუნა, მშრალზე დამტოვა,
 სითანადოდ ვერ დავაფასე აქნობამდის მისი სა-
 ქცეული. დღეს კი, ასეთი უმსჯავროს მოქმედ-
 ბის შემდეგ. ვეღარ მივარბოვი. უფელაფურა უნ-
 და გამაშკანავდეს; თავისი უნდა მთურწო,
 აგი თვითონც გრძნობს, რომ მიუხედავ სიციბ-
 ერეს, და თვ-ჩაქინდრული დარჩა; ომი წაავტო...
 რას იხსნი!.. უკამეჩის მოჭდავე ტხვანს რქები
 არ შერჩებათ“.

დეკემბრის 30

ადამიანი, რომელიც ფლიდის ერთ სხვას
 ფიანდაზად გაემწობა, რაბა თვალთმაქტური
 ქება-მესხებით თავი მოუქოლიდის—იგივე იუ-
 ლა... ამავნ მეტი ზნე-დაცემულობა წარმოუ-
 დგენელია... ადამიანი, რომელიც მუღმივ
 თავის ქებაშია, რომელიც თავს რაინდობაში
 და წარმატებაში სდებს,—ჩემს თვალში ფიანა
 ჰკარავს.

იანვრის 12—1915 წ.

როცა იცი აღმინის უზნეობა, და ცე-
 მულობა, უვარგისობა და მისთან განავრძობ
 ნაცნობობას, ვითომდა ამხანაგობასაც,—თუ
 კი ის რამეს ვაწყენინებს, პირად შეურაცხყო-
 ფის მოგაყენებს იმას კი არა, შენს თავს უნ-
 და უსაყვედურო... საყვედურის, დასჯის დი-
 რსი ხარ იმიტომ, რომ იცოდა მისი სულიერი
 'გ-კარგობა, ასე ვსთქვათ უსულიობა; უდავი-
 ანობა და მანც საქმეს იტყვადი მასთან. სწო-
 რედ ამისთვისაც ასე საკულისმშიერო ქართული
 ანდაზა: „რაც მოგვაგა დავითაო — ყველა შენი თა-
 ვითაო“.

იანვრის 20.

მარტო ვარ, მარტო!.. მადლით, მითხროთ
 ვინმე რამე, რომ მეც გარდავიქმნე ცოცხად
 აღამიანად და მეც რამე წყლივით შევიტანო საე-
 რთო საქმეში. მაგრამ, რას ვამბობ?!. მე სომ
 უბრალო აღამიანი ვარ. ხელს ვინ გამოამწყვდის?
 ყველა ისინი დიდ რამეებს, ან ვინმეებს უკბი-
 ბინ; ემტინებთან და ჩემითანა მამეებს, მს-
 ტრინობის მკვიერ ზიხლით უმხერენ. რთა? მე-
 რე რად სდება ასე? აი კიდევ ერთი „საჭირო-
 ბოცო საკითხი“ იღ. ჭკაჭკაძისა ან იყვეს.

იანვრის 22

ნათქვამია, ვინც ძალიან გიჟვარს ამისგან
 ცოტაც გაქვინებო. ჩემის აზრით, არც თუ სა-
 ესებით ასეა. ცხადია, უმეტეს შემთხვევაში ასე
 სდება, მაგრამ არის ზოგიერთი გამოჩვეულისი.
 აი, მაგალითად, რადესაც ჩვენ, გულითადი
 ამხანაგები, ერთი მეორეს რამეს ვაწყენინებთ
 (რასავეორველად, თუ ეს წყენა ხსნდვარს არ გა-
 დასცხადვდა), თითქოს ამის შემდეგ უფრო შო-
 რს მხედველის თვლით ვიკურებთ ერთმან-
 ნეთის სულსა და გულში; თითქოს უფრო შო-
 მერტი სიმძლავრით იბმის ჩვენში მათე მეგო-
 ბრულის კავშირისა, ასე ვსთქვათ, ერთად გვა-
 დულდებს და რაღაცა ერთ მთლიან არსებად
 გვაქცევს ამას ვამბობ ამისთვის, რომ ჩემ
 თავზე გამომიცდა. და რამდენადაც დაკვირვებუ-
 ლი ვარ, მკონა არც უნდა ვსდებოდავ. მაინც-
 და მაინც მე ასე მკონია. შემიძლება ამისი მი-
 რველად სხვა არ დამითხანსოთ, მაგრამ რადესაც
 გაიხრბოს ამ მომენტს, დარწმუნდება ჩემი სე-
 ტუების უკმარებობაში.



იანვრის 28

სწორად აღმნიშნ მტერსაც ვერ გაიმე-
 ტებს სასიკვდილოდ. მაშინაც, რის მტერაც,
 რის სიკვდილი? შირაქათ, უბრალო შემოსევევაც
 კი სწორად გულის დაჭრევეტს. აღმნიშნ, რო-
 მელიც, თუ პირდაპირ არ მიწევდა მტრობას,
 ისე მაინც ჯინში მიღვას, ჩემთვის ყოველი
 კარგი პიუტრდა,—დღეს დამშორდა. სამშო-
 ბლოში წავიდა და იმის მაგიერ, რომ გამხარე-
 ბოდა, ჩემი ფიქრი და გონება თან წარიღო...
 მეტირება. ფიქრით იწევ მასთან ვარ, იქნე-
 ბა იმიტომ, რომ მისმა წასვლამ საქართველო-
 ში, დროებით მიძინებულნი სამშობლოსადმი
 გრძნობა კვლავ აღმიძრა... მარტო ვარ, მარტო-
 გრ. ხერხეულიძე



ჩემსს

გმ, რა ვითხრა, როგორა ესტევა, ან კი როგორ გავიტელო,
 მეტყვი: სტყუი, ცელქობ. შენთვის, ჩემო გიჟო, ჩემო უბელო
 მთვარესავით დათენთილო და მზესავით ძალიანო,
 ფოლადივით მიშხიდველო, ღონაერო, დალიანო,
 ღმერთი, სჯული, საღავითი, ყინულს ცეცხლი წაეკიდა,
 გააფთრებულ ღომასა და ვეფხვს მელა კბილზე დავიკიდა.
 დავიკიდა მუქართა: თქვენ რომ კბილზე კბილსა ღვსავთ,
 ერთსაცა და მეორესაც ქვებზე თავპირს წავიგვლესავთ.
 რა გგონიათ, როგორა მცნობთ, ტყვიით ხელ-ტამ გახვრეტელსა.
 სისხლის ცრემლებს, ზღვად ქეულებს, ჩემვან მუქით დახვრეტელსა
 დღეს არაფრად აღარა ვთვლი, შორს მიქირავს ნავსი თვალი.
 ერმანეთს რომ ამოიქვამთ, მე დამჩუბა მომავალი.
 რადა ვითხრა, ჩემო კარგო, საღ-კლდისავით ძალიანო,
 მთვარესავით მოქანცულყო, და მზესავით ხალიანო.
 ყინულს ცეცხლი წაეკიდა, შორს ვაისმის ღოთა ბრდღვენა
 და მელას კი არად ჟიანს დღეს მშობლებს ცრემლთა ღვსა.
 გზიღება მკვდარს და ცოცხლებს, ხელს უმართავს დამეც ქნაოს,
 ასუქებს და აღვიღივებს თავის სორო-საეუქნაოს...

შოი მღვიმელი

გამოსათხროვარი სიტყვა

(გმ იგ. საჩაქაშეაღის სამარქსთან თქმულა მა-
 რიათობისთვის 11 დაღუპუი)

სიკვდილმა ჩამოიარა—ვაი ერთის პატ-
 რონსაო,
 ჩენი ერთი იყო იგი, რომელიც ავერ



მიხეილ (მიშა) შლენტი

წვეტიტეს და გაგზავნეს. გარდიცვლა საკატორლო
 ციხეში დატლექებული მკათათვის 6 1916 წ. დარს
 ცოლი და თთხი მკირე წლოვანი ბავშვი უსახსროდ.
 ამხანავთა გულში მისი ხსოვნა სამარადისოდ იქნება.

განმანთავისუფლ-
 გელ მოქარაობის ერ
 თი მსხვერპლთაგანია,
 სხვათაში რის, მიხე-
 ილ (მიშა) შლენტი,
 რომელიც 1905-1907
 წწ. კახეთის გლეხთა
 ვათვით ცნობიერების
 საქმეში მშურვალუ
 მონაწილეობას იღებ
 და, 1906 წელს ციმ-
 ბირს გადასახლეს.
 იქიდან დაბრუნებუ-
 ლი ისევ ჩაება სა-
 ერთო საქმეში. 1911
 წ. ციხეში ჩ სვეს, პო-
 ლიტკიკურ საქმეზე 6
 წ კატორგა გადაუ

ჩენს წინაშე განისვენებს, იგი, რომელიც
 თურმე, სხვათაგან დანგრეულ ჩენი ოჯახის
 აღდგენაზე ზრუნავდა...
 პატრონი-კი ჩენს, რომელთა შორის ფრ
 ედ ბევრია ოჯახის დამანგრეველი, შამპაპი
 კერის დამამხობელი, წინაპართა მიწ
 წყლის გამფლანგველი...



მაშინ, როდესაც ჩვენი ქვეყნის ცხოვრების ჩარხი უკულმა შეტრიალდა, ქართველი ქალი გადაგვარების გზას დაადგა, გარეგნული განთლებით შექმული გაუთავებელ ფუქსავატობაში ფლანგავდა ქონებასა და ოჯახურ ზნობრივ მოვალეობას, მაშინ, როდესაც ქართველი ქალის დიდი უმეტესობა იფიქრებდა და იფიქრებს დედისა და შვილის მოვალეობას, ეს მოგვევლინა სწორუპოვარ დედა-მეუღლისა და ოჯახის ამგების ხატებად.

მაშინ, როდესაც ჩვენი ერის დიდი ნაწილი მამა-პაპეულ მიმულ დედულ პირად სიმონებში ფლანგავდა, ფლანგვას და მემკვიდრე—შთამომავლობისთვის არასა ზრუნავს, აჰა, ეს ადამიანი მთელს სიცოცხლეს მხოლოდ იმიტომ ზრუნავდა, ცალს ცალზე ადებდა, მონაგარს ჰზოგავდა, რომ უქეო—უშვილოს მთელი ერი ეშვილნა და მისთვის სულისა და სხეულის საზრდო გაეჩინა..

განსვენებულმა დიდი შორს-გამჭვრეტელობა გამოიჩინა თვისი ქონების გონივრული განაწილებით.

მან, ვითარცა გონება-ნათელმა ქალმა, კარგად იცოდა, რომ ხელოვნების ტაძარს — თეატრს ჩვენს ბედში მყოფთათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს და მის აგებას საძირკველი ჩაუყარა...

მან, ვითარცა ჩვენი ხალხის მზრუნველმა დედამ, კარგად იცოდა, რომ ჩვენი ქვეყანა სწავლითა და გამოსადეგი ცოდნით ჩამორჩენილია და ამიტომაც ქართველ ხალხში წერა-კითხვის—ცოდნის გავრცელებას სახსარი გაუჩინა.

მან, ვითარცა მშობლიურ ოჯახში—სამშობლო ნიჟადაზე აღზრდილმა მკულიშვილმა ქალმა, კარგად იცოდა, რომ ერი, რომელმაც თვისი წარსული არ იცის, აწყყოს ვერ გაითვალისწინებს, მომავლს ვერ გაიბრწყინებს,—და ამიტომაც დიდი თანხა დაუტოვა ქართულ ხანსტარო-საეთნოგრაფიო საზოგადოებას..

მაგრამ კიდევ უფრო საგულისხმო ისაა, რომ მან კიდევ ერთი მკვიდრი ქვა ჩააგდო ამერიკერეთისა და სრულიად საქართველოს გაერთიანების საძირკველში.

და ამით გეთხრა—საქართველო ერთი, მანდა გამოთლდესო..

დელო დელო ეკატერინე! გაივლის ეამი და დღეს შენგან კეთილ-ქმნილ საქმეთა შედეგი ერთი ასად განბრწყინდება ნაყოფით თვისითა,—მოდგამათა მოდგმა გულში გატარებს, მშრომლის ხელი მუდამ პირჯვარს გამოისახავს და ზენაარს შესთხოვს შენს საუკუნო ნეტარ განსვენებას, ხოლო ერი ინეტარებს ნამოქმედართა შენითა!

ნება მომეცი მუხლთ მოვიდრიკო და თავყვანი გვე ქურნალ ჟთეატრი და ცხოვრებისა სახელით შენ, რომელმაც ქართული ხელოვნების ტაძრის აგებას საძირკველი ჩაუყარე, წერა-კითხვის გავრცელებას იარაღი მიეცი, ჩვენის წარსულის შესწავლას ფრთა შეისხი... ქართული სცენის მელპომენა მუდამ ეკურთხევი მოვიხსენიებ და ვიღრე იგი იუკვადებებს—შენც უკვდავ დარჩები, ვითარცა ხელოვნების დიდი მფარველი—დიდი დედა!

არ მოკვდება ქართული სცენა და მწერლობა—არ გაჰქრება შენი ხსენებაც!..

იოსებ იმედაშვილი



კონსტანტინე ილიასძე ურული
 კაკასიის ასპარზე ბრძოლის ველზე მოკლული და კრძალეს მარი მობისთვის 7 დღედუმში. შეუღრველი და მამაცი ემომარი იყო, ჯარის კაცთა სათავეწა და ამხანგთა საყვარელი.



მელანქოლია

რა შორს არის ეს ქალაქის ბაღი ამ ქალაქიდან. „ქალაქის ბაღი“ კი ჭკვიანი. უნდა დაგლიჯო ერთი წყვილი ფეხსაცმელი ბაღში მისვლამდე და სახლში ფეხშიველა დაბრუნდე. ეტყობა, აქაურებს ძლიერ ყვაობრებით სიარული... რას იზამს. ისინი ხომ მაწანწალასავით არ იანგარიშებენ რამდენის ფეხსაცმელს გაგლეჯენ ან რამდენ კაპიკს ზედმეტს მისციენენ მეტელს... მაგიერთა უზომოთ ულაპავენ ქალაქის მტვერით საფეხ ფილტვებით ამ ზღვისა და ფიქნარის ჰაერს...

მაშ როგორ გეგონა — რისთვის იანგარიშებენ...

კიდევ კარგი, რომ ღმერთს ფილტვებით სუნთქვა გაუჩენია, თორემ საუბედლოთ მუცლით რომ სუნთქავდენ, შენი მტერია შენ აღარაფერი დაგრჩებოდა, — აქ ჩამოსული მოაგარაკენი თითქმის ყველანი ხოლომოგორის ჯიშის არიან — დაუსივებით მუცლები და დადიან ნელა ნელა, თითქოს შიშობენ მიწა არ გაგვისქდესო.

მიღვივარ ბაღში და ვესაუბრები ჩემს თავს... ან ვესაუბრო? მართალი სთქვა ტიტეტებმა:

Молчи, скрывайся и тай
И чувства и мечты свои...
И всё-же кто поймёт тебя“?

ან ვინ გაიგებს გულა, თუ რა ცეცხლი ტრიალებს ჩემს გულში... იქნება ცეცხლი სრულიათაც არ ტრიალებს, და ჩემს მუცელში, მით უმეტეს — იქნება სრულიათ არაფერიც არა ტრიალებს...

ჰო და მიდი და უთხარი ახლა რომელიმე მოსიერეთაგანს — ჩემს მუცელში არაფერი არ ტრიალებს თქო... ასეთს გადმოგიტრიალებს თვალებს და შეიძლება სხვა რამესაც რომ...

მაგრამ რაღა ეს ბაღი ამოვიჩემე მეც... ჩამოჯექი აგერ თხრილის პირზე და იოცნებე და იფიქრე სანამ გსურდეს... ვითომ დიდი სოვდაგარი ხარ ამ ქალაქში, რომ ვინმემ გიცნოს და შეგრცხვეს...

ესეცა, რომ საეჭვო შეხედულებისა ხარ... მეტათ დემოკრატიულით გამოიყურები, მეგო-

ბარო, და ვაი თუ ერთგულმა წესიერების დამცველმა გამოიგისტუმროს აქ უკანვე...

მოქალაქე ვარო?... ხა, ხა, ხა, ხა... ყველა შენისთანა მოქალაქე რომ იყვას, მალე აშენდება ჩვენი ქვეყანა, მაგრამ რა გაეწყობა... აი, ბაღიც აგერ არის... ანა გადავალე თვალი ამ მოსიერზე ხალხს... როგორ მოგწონს?

მართალი უნდა სთქვას კაცმა, მშვენიერება კია ეს ბაღი... შორსდან გრძნობ ფიქვისა და კვ პაროსის სუნს, ყვავილთა სურნელებში შერეულს. რა ყვავილი გრდა, რომ აქარ იყავს — წითელი ვით, თაქისუფლების სურვილი, თეთრი, ვით სიკვდილის მოგონება, ყვითელი, ვით გაზაფხულის ოცნება... აგერ თითქოს შავი ყვავილებიც კი არის, თერი ფერადებით გადახაზული...

როგორი სწორი და შროიანია კვიპაროსის ხეები... აზობენ, კვიპაროსის ხე წმინდა კაცის გულზე ამოვიდა პირველათო და როგორც განსვენებული იყო მართალი და სწორი ცხოვრებაში, მის საფლავზედ ამოსული ხეც სწორათ ვიზარდა და ეს თვისება ყველა კვიპაროსის ხეს გადაეცაო... იქნება მართალია ეს ამბავი, იქნება ტყუილი — რას არ გამოიგონებს ადამიანის ოცნება... ლამაზები კი არიან... სალტე ავით შემორტყმიან მაღლობზე გაშენებულს ბაღს. შტოები ზეცისაგენ მიისწრაფიან, თითქოს მიწიერი არა უნდათარაო.

სულ რაღაც გამოურკვეველ ფიქრით არის გართული ეს ხეები და ზღვის სუნთქვასაც კი ვერ გამოჰყავს ისინი ამ ოცნებისაგან...

დაბლა კი ზღვა გაშლილა... რამდენჯერ ვცდილვარ გარკვევით დამენახა ზღვის ჰორიზონტზე რამე... შეერთებულან ზღვა და ცა ერთად... კოცნიან ერთი მეორეს ცივი კოცნით და მეტს ვერაფერსა ხედავ... ნაპირზე-კი ზღვა ისეთია, თითქოს ახლომელი ვინმე იყოსო... გესაუბრება წყნარათ... მოგთხრობს შორეულ ამბებს... ხანდისხან გაგულისდება და ფაფარაშლილი ლომივით ებეთქება ნაპირებს... მაგრამ ისევ მალე წყნარდება... ისევ იწყებს მდერას რაღაცას მოუხრობს ნაპირებს, კვიპაროსებს... იქნება აქ მო-



სეირნე ხალხსაც ეძახის რამეს... ეხ
რას გაიგებ ზღვისას კაცი, ან ამ
კვიპაროსებისას რას გაიგებ, ზღვას რომ მილ-
ლიდან გადმოსცქერიან. ესენი ხომ ადამიანე-
ბი არ არიან, რომ რაიმე გითხრან, გაგა-
გებინონ...

ხა, ხა, ხა, ხა! განა ადამიანი რამეს გა-
გაგებინებს... ან გეტყვის რამეს, ან შეგი-
ცოდებს?..

გუშინ მე ზღვის ნაპირზე დაეხტილაო-
ბდი... წამოუბერა ქარმა და ქული ზღვაში
გადაშვლო... ვერ ჩაველი წყალში—დარჩო-
ბის შემეშინდა და განწირულათ ჩავთვალე
ჩემი ერთგული ქული, მაგრამ დახეთ ჩემს გა-
ოცებებს—ზღვამ ისევ დამიბრუნა ჩემი სიმდი-
დრე—გამოაქანა ტალღათი და მოხდენილათ
გადმოავგორა ქვიშაზე. არ წამართვა... ჰო და
ასე, შენ უთხარი ადამიანს—თუ მოიგდო რა-
მე ხელთ—რას დავგბრუნებს...

გუშინ ზღვის ნაპირზე რომ დუქნებია—
მათ ცეცხლი მოედო, სანამ მედუქნე ბერძნები
ცეცხლს აქრობდნენ—მათი ხილი მთლათ და-
იტაცეს დამეში... როგორ მოგწონს... რას
გაიგებ ადამიანის ბუნებას...

ნ. მიწისშვილი.

(დასასრული იქნება)

სახალხო მოლაქანი

ჯარის კაცი.

ჯარისკაცი ვარ:
მოწყვეტილი მშობლიურ ქერას,
და მ-ცემული
აწ უკუღმართ ბედისა წერას!..
მშვიდობით, ძმაო,
შორს მგზავნიან—უცხო მხარეში,
სადაც მომელის
განსვენება ცივ სამარეში..

ხვამხ.

სვაო, რას გადამეკიდე
თავს რას დამჩხავი ზიანად,
ერთხელც იქნება წამოვლდე,
დავახაო ომანიანად:
გკრა შუბლში, ტინი გაგინთხო,
ამოგაშხამო ყველაო,
შენს ლეშზე გავანავარლო
ტურა, მგელი და მგლო!..

იაგო ტეტუნაშვილი.

ჩაბრულ ქმანს!

ოხ, შე ბედით დამაგრულო,
დატანჯულო სულო!
გაღვიძე, ნულარ გძინავს,
შე ბედ-დაღუბულო!
გაახილე თვალი შენი,
შე ბნელით მოცულაო:
დინახე ავი-კარგი,
შე ღვთით დაკარგულო!..

გ. კვაცხუთელი.

"მზის საიღუპლო"

(დასასრული. იხ. "თ. და ც." № 32—35)

ვარსკ-მრიცხვ. (ჯდება ჩაფიქრებული)
წუთი და წამი ყველა მიჰქრის, მიჰქრის დღე,
ღამე; წელი—წელს მისდევს და საუკუნო ჩა-
ინთქება საუკუნეში... არარაობას წარმოადგენს
ჩვენი აზრები, სურვილები, მისწრაფებანი. და
არ არსებობს ქვეყანაზე ისეთი ძალა, რომ
შესცვლიდეს სხვანაირად ცხოვრების სრბო-
ლას! (ბანადან შემოდის ქურუმი)

ქურუმი. შენ აქ მარტო ხარ? სუყველა-
ნი უკვე წასულან?... მითხარი რას ნიშნავს ყო-
ველივე რყევანი და ეს ხმაურობა?

ვარსკ-მრიცხვ.—მე შევიპყე სუყველანი,
მიმნლობი ხალხი. . მინდა, მე მათი სინიღისი
გამოვადვიო, მშვენიერება დაკარგული—გუ-
ლს ჩაუნერგო. ჯერ კიდევ დროა და თუ არა,
მზე ისედაც ამობრწყინდება!

ქურ. მაშ მოატყუე შენ ისინი? აგრე
ფიქრობდი, სულ სხვა მიზეზი არის რალაც
მზე რომ გაგვიქრა.

ვარსკ-მრიცხვ. ბრძენი კაცი ხარ... საიღუ-
მლოს შენთან თქმა ძალმიძს. სულ შორს
აქედან—ტალახს და ღვედფს, ცეცხლს და
ლითონს გავარავარებულს მთა ისროდა შუა-
გულიდან. ფერფლს ღრუბლები უნახავი,
უშველმეღელი ქარს მოჰქონდა გამძვინვარებით;
ამიტომ არის მოგვევლინა ქუხილი-ელვა და
მზეს ჩვენთვისა მიეფარა ღრუბელთა გროვა.
როცა გრიგალი იგრიალებს, ამოვა მშეცა და
დადგება ნათელი დღე.

ქურ. და სულ ეგ არის?

ვარსკ-მრიცხვ. სულ

შენი.



ქურ. და რადგან ვერე ყველაფერი წი-
ნასწარ იცი, მიტომ გვატყუებ?

ვარსკ-მრიც. ხომ გითხარი, რომ ადამიან-
ნი მინდა გარდაეჭმნა უკეთესად და თუ სი-
მართლით ვერ მივახწვევ, სიცრუით ვიხამ.

ქურ. მოხუცო, შენ ბრძენი კაცი ხარ!
მიგრამ მგონია, რომ ადამიანს-სიცრუითა ვერ
აამალდებ. და თუ გამჟღავნა ვეგ სიცრუე-
სიკვდილსაც ვერ გაღურებები,

ვარსკ-მრიც. დიდი ხანია მას რომ ველი.
შემერყა რწუნა სიცოცხლსა და სულს მი-
ხუთავს სიცრუე და ბიწიერება. ვერა ვხედავ
ვერსად სიმართლეს და სიცოცხლეს საფრხე-
ში ვაგდებ. თუ ამაში ვერ გავიპარჯებ, ავალ
მაშინ სახარხოზელაზე ან და მე თვ-თონ... ასე
სიცოცხლე საშინელი შემზუთველია... (აღგე-
ბა) მანამ-კი წავალ ჩემსას მშვიდობით!

ქურ.—წავიდეთ, მოხუცებულო! დ.გი-
ფაროს ღმერთებისა ძლიერმა ძაღმა. (მიდაინ-
პანსისკენ, რამდენიმე ხანს სტენა ცადაერა. მ-
რჯუნით სანქარათ გამოადის ელოე დაჩქეთ-იქით
იუფრება)

ელოე არავინ არის... ყველა წსაულო-
(წუხად ეძახის) არიოს! იაროს! აქეთკენ. ჩემო
საყვარელო! (მარჯვენა შეშადის მ-შეგარეა)

მ-შიკ. ოჰ, ჩემო კარგო! ჩემო სიცოც-
ხლე! დღეს როგორი ბედნიერი ვარ! (გუხვევა)
დაწყვეტილ სახლი როგორ მოხვლი? მითხარ,
რა მოხდა?

ელოე (კვრას მას) არიოს, ჩემო მზეო.
სამი თვე არის, რაც მხედართ მთავარმა მო-
მიპარა და ფარაოს გადაეცა მონად, ვგონე-
ბდი, აქ მოვკვდებოდი. უწინ საშინლად ვი-
ტანჯვოდი, არ ვიცოდი ვისთან და რად ვარ.
მერე, როდესაც უკუნეთი გამეფდა ყველგან,
აქ მომიყვანეს, ფარაოს გასართობელად.

მ-შიკ მე კი ტყვედ ვაქმენ... მითხარ, სა-
მშობლოს რა დამართა? ცოცხალი არის მა-
ნამეტი, დედა რასა იქ? ჩემი მეგობრები, თუ
კი ვამსოიენ?

ელოე (სიყვარულით უფრებას მას) თე-
ლებსა ჩემსა არ უჯერებ! მიმიკარ გულზე.
ხომ გახსოვს ერთად ვოცნებობდით, სულ
ერთად ყოფნას?! და უცაბედათ განშორება,
ომი... შენი დაკარგვა! (გუხვევა) მაკოცე, მაკოც-

ნე უფრო მაგრად, მე ხომ შენი ვარ, ისევ
ისე შენი ელოგი!..

მ-შიკ. თავი მენტება! ვერ გამოვიცა ეს
ყველაფერი, ზღაპარია თუ სიზმარი?! ელოე,
ნუ თუ შენა ხარ?! გავიქცეთ აქედანა, ჩქარა
გავიქცეთ! არაფრისა არ მეშინიან, შენთან
ერთად მივბნაშვებამრვე, ძლიერი ვარ, რო-
გორც არას დროს!..

ელოე. ახლა არ შეიძლება. მოვიცადოთ
ცოტაოდენი, ვარსკვლავ-მრიცხველს ფარაო
ესაუბრება. დღეს ღამით, როცა სუყველანი
და ძინებენ, აქ გამოვალ. შენ აქ მცლოდე
და გავიქცეთ, გავიქცეთ და წინ ან სიკვდი-
ლი—ან სიცოცხლე!

მ-შიკ. სჯობს მარტოხელა სიცოცხლე-
სა, სიკვდილი ერთად.

ელოე. ოხ, სყავარელო! გაგონდება ის
ღამეები, როცა ერთმანეთს ჩახვეულნი ვისხე-
დიო ერთად და უტყეროლით ვარსკვლავებს
სულ განაბულნი? გაგონდება ჩემი სიმღერა? ო,
ჩემო კარგო! (გუგონის)

მ-შიკ. მზათ ვარ ამ ქვეყნად დავივიწყო
სუყველაფერი, იღონდ გიტიქირო და მესმოდეს
შენი ხმანახი. კიდევ მითხარი, მითხარ კიდევ!.

ელოე. მიყვარხარ, შენ მიყვარხარ, ო,
ჩემო კარგო! იქით წავიდეთ, ჩემს ოთახში,
საიდანაც გასასვლელია. თუ ვინმე მოვა, შენ
მაშინვე დაიმაღლები შუალამედის, და მერე...
(იფანის) და მერე ხომ იცი რაც უნდა მო-
ხდეს!..

მ-შიკ. როცა ყველანი დაიძინებენ..

ელოე. (აწვევტიანეს) წავიდეთ, წამო,
გიმღერებ მე უწინდელსა სავალბებლსა, შენ
კი იჯექი ჩემს მუხლებთან თავდაყარდობი-
ლი; ყველა იფაქრებს არის მხიარულად, და-
მშვიდებულათ, მაშინ გაქცევაც მოხერხდება
უფრო ადვილათ.

მ-შიკ წამოდი, წამო, ჯადოსანო!.. (მი-
დაინ მარცხენა. ისმის ჩახვის ხმა და დეკლამაცია
წინად თქმული ლექსისა. შრობით. დიდა სიხუ-
მე. მარჯვენა შეშადის 1-კარას კატი)

1-კარას-კაცი. ვარსკვლავთ-მრიცხველი
მგონი სტყუის უკანასკნელმა საათმა დაპკრა
და ფარაოც ღმერთებისგან შეწყნარებას
ტყუილად მოელის. ღოცვა-ვედრება მათამ-



დე ველარ უწყვის; თავზე დავატყდა განრი-
ხება და მათი წყრომა ეხლა დასრულდა. (უ-
რს უგდებს მუსიკას) უკრავს უღარდელი და კი
ვერა ჰგრძნობს რომა ახლოა განკითხვის ჟამი.

ფარაო (შემოდის შეშფოთებული) გესმის
შენ?

1-კაცი შიკრიკი! მან თან ელოე!

ფარაო. მოიცა, იქნებ ჩვენ შევეცდით?
ეხლავ წავალ იქ. (უნდა იქ წასვლა. 1-კარის
კაბე შეაქანებს)

1-კარის-კაცი. ოჰ, მბრძანებელო, ნუ, ნუ
წახვალ! შენ მოგკლავენ (სტენის იქადას ელა-
ეს ჩუმი ხმა მთავისა: „მოკლენ არიოს, მოკლენ
მაგრად, მე შენ მიუფრახა!“ ისევ ჩანგის ხმები)

1-კ. კაცი. ეკვი არაა, ის იქ არის!

ფარ. (ჩუმად) ოჰ, რა სიშინლად გადუ-
ხლი? იხმე ყველანი. ბრძანება გაეც, ვას ვალი
იგი დაჰქიტონ. ყველამ უქეპროს (1-კარის
კაბე მაღას, ფარაო მაღას დაჰგდებს. სიჩუმე)
რა საბოლოო ვარ, რა მოღლილი. როგორ
მიმბარს მე.. სულ რაღაცა მეშინიან და ჩე-
მს ვარაშემო ვერა ეხედამ მე მეგობრე?სა?
(დგება და ფარდას გადახდის) ვარსკვლავები
არა სჩანს... მზე გამქრალია... (მაშორდება)
უკუმეთი.. უკუმეთი... უკუმეთია!.. და ყვე-
ლგან მხუთავს უკუმეთი... (გადის, დაბნულს უ-
სლფავდება. გუგუნა გასმის, ჩანავს ხმები შე-
სწევდება და ელაეს კავილი მთავისა. შემოდა-
ან უგვლან)

ხმები:—შენ გვისმობდი?! რა მოხდა?!.
საფრთხე მოგელის?..

— მე შეცოდება იგი. (მარჯვნივ ფეხის
ხმა მთავისა) ვინ მოდის? (შეშინებული) ხმა
ამოიღე ვინ ხარ? (შემოდის ფარაო)

ფარ. ეს მე ვარ. ვარსკვლავთმრიცხვე-
ლი იმეორებს კი-რე თავის?.. საღ იპოფე-
ბა ის შიკრიკი, ვის მოსმენაც მე მოვისურვე?
იგი საექვით მიმჩნია.

1-კ კაცი. ტყუილად გააგდე, მბრძანე-
ბელო.

ფარ. როგორ გაბედა ხელის შეშლა!
გამოძიებას დაუნიშნავ და მერე კი უწყალოდ
დავსჯი. მაგვარს მხლებლებს მე ვერა ვგუობ.

1-კ. კაცი. უძლიერესო მბრძანებელო. მო-
მისინე შენსა ერთგულსა, უძველესსა ჩოსა-

მსახურეს სჩანს, ღმერთები ჩვენ განვა-
რისხეთ. გადიყარე გულს ბოროტება და ერ-
თხელ მაინც იყავ მოწყალე. გახდი მიმნდობი
და იქნება სუყველაფერი სიკეთისკენ გადა-
ტრიალდეს.

ფარ. (მრისხნედ) ნუ სულელობ! მით
ევანებათ, რომ შევშინდი, გავხდი უძლური.
მაშინ კი უფრო საძლიერით ამბობება ფესს
მოიკიდებს და ქვეყანას მოიცავს შიში. არა,
იქნეს ყველაფერი უწინდებურათ.

1 კ. კაცი (დადარებული) როგორც გენბა-
ვდეს მბრძანებელო! მოშორდება ფარაოს. ჩან-
ნგი შესწევდება. სტენის იქით ჩუმი. ხმა ვ-შე-
რეკისა. „ელოე ჩემო მარგალიტო, რა კარგი
ხმა გაქვს.“

ვარსკვ მრიცხვ. მკლანდება--დაღდა საა-
თი, რომელსაც მე დიდხანს ველოდი.

ფარ. (2-კარის კაცს) ფარდა ასწიე.

(2-კარის კაბე ასწევს ფარდას, რომელიც
ელავს თთავს ჭეფარავს. ელაფე და არაიოსი
გადახვეული გამადანს და ამაჟად შეჩერდება. ან
გამოსასყელე კარებთან. ფარაო დიდხანს უტყე-
რის).

ფარ. მოლაღატენო! რა სამარცხვინოდ
მოჰატყუეთ. შენ ელოე, განა არ გენდე, გა-
გახვიე ჩემსა ლერსში, ფუფუნება და სინარჩა-
რე ფერხთ გაგიშალე? შენ კი არიოს, არ
გაჩუქე განა სიცოცხლე?! შენ ტყვე იყავ?
საყოლადი მონა--მომჩილი და მე არ ვიყ ვ
ჯარის კაცად მოგიახლოვე. რით მომ გე
მაგიერი.

ელოე. სტრფოა ჩემი.
3-შიძ. ერთი მიწა წყლის შვილები ვართ
და მას აქეთ დიდი ხანია, რაც ცოლ-
ქმობისა პირობა გვაქვს.

ფარ. პირობა გაქვ?! რას მიქვიან პი-
რობა მაშინ, როცა მე ვისმე ცოლად დავსა-
ხე? შენ მონა ხარ, გეცე მონაა--მე კი მეფე,
მბრძანებელი ყველა თქვენგანის. (ხაღხს) რა
უყოთ ამათ?

ხმები: დავწვათ... ორივე ერთად დავ-
წვათ. . დეე! ცეცხლმა დასწეროთ ჯვარი!!!

ფარ. (მოდუშული) არა, ცოტა არის გეგ
სასჯელი. ელოეს დავწვაე და შენ კი... (დი-
დხანს უტყერის ვ-შეკარავს) შენ კი გაგიშვებ.



ჯერ უტკირე მისა წამებას და მერე გასწი იტხოვერე, გაიხარე მოგონებითა.

მ. შიკ. გეფევე?

ფარ. ყველაფერი ვსთქვი.

მ. შიკ.—(წინ წამოდგება) ოჰ, მბრძანებელი, იქონიე ცოტადენი შებრალებმა! საუკუნო ერთგულებას ვართ შეფიცული. გავც ბრძანება გე მაწამონ. დაიფარე სუსტი ქმნალება. მიბრძანე, ბრძოლისა ველზე გალაშქრება, — თავს შემოგწირავ, ვასხელებ—მაცას ნუ მომტლავ; სიცოცხლე მიეც, წამებას ნუ ატდეინებ. იგი სუსტია, უპატრონო...

ელოე (აწვევტიანებს) ყური არ უგდო მბრძანებელი! მზათა ვარ იკველი განვიცადო და მისი გულსათვის თვით წამებაც სულ ღიმილით გადავიტანო.

მ. შიკ. ჩუმად, გარუმდი! უშენოდ სიცოცხლე არ არის. ახალგაზრდა ხარ, მშვენიერი და სიცოცხლაც, უფრო უნ გშენვის.

ელოე. არიოს, რას ლაპარაკობ? (მუხღებზე დაქექმა) გეფევე ძლიერო! გემუდარები, მე მაწამო ოდინდ ის არა. ფიცი მომეცა, განსაძღვლი რომ მას არ ელის!

მ. შიკ. (ელოეს ხელსა ჰკრავს) მბრძანებელი! სულ ერ ხელ მაინც მოირბილე ეგ შენი გული მაწამე, ჩამომახრჩე და მხოლოდ ის კი შეიბრალე!

ფარ. შენი ვედრება მე არ შესმის. ერთხელა ვთქვი...

მ. შიკ (დამუქრებით) არ მოიხურევე?

ფარ. არა.

მ. შიკ. (ამოძრბობს ხანჯალს და თავი უნ და მოიკლას. რამდენიმე კაცი ხელსა სტანებს, ელოეს კეიფი. უხანჯალს მზე სიბნელეს ადღეუვის და გააბწყინებს ამ ჭკუფოს)

ყველანი: მხე!!! (ზოგი არიოსთან დგას. ზოგი ბანასკენ მიაშურებს. ფარაო დგას და მშვიდდება)

ვარსკვ-მრიცხველი დაჰკრა საათმა! (სიარულით)

ელოე. (ესევეა არიოსს) არიოს! არიოს!.. სე გვედრები!..

ვარსკვ-მრიცხვ. შენ დინახე, მბრძანებელი. სიყვარულის გრძნეული ძალი!

ფარაო (ჩუმად დგდება და თავს ხელე-

ბზე დაადრბობს) წუთის სრბოლაში განვიცადე მე საუკუნე. საბურავი მოხსენა იმას, რაც ჩემთვის დამალულიყო... (დადონებულ) ბრძენო მოხუცო, კაშკაშის მზე, მაგრამ სულში უფრორე ბნელა.

ვარსკვ-მრიცხვ.— შეიყვარე და მზეს იხილა.

1-კარის კაცი (მიდის ფარასთან და უჩვენებს ელოეს და შეფიქვს) როგორ მოვიქცეთ?

ფარ. მიანიქეთ თავისუფლება.

ელო. წამო, წავიღეთ სიყვარელი!

მ. შიკ (ხანჯალს გადავლებს) წამო წავიღეთ, მიე გებოთ ახალს ცხოვრებას. ეხლა ჩემთვისაც ნათელია

მზის საიდუმლო!

(გადაესევეანს ერთმანეთს)

ფ ა რ დ ა .

ელო ანდრონიკაშვილი.

ანდრონიკა

ეკატერინე ივანეს ასულის სარაჯიშვილისა (მიეღეს: 1) დიდუბის ეკლესიას 10, 000 მან. 2) ავღაბრის წმ მარინეს ეკლესიას 2. 000 მან. 3) დარის მონასტერს ავღაბარში 500 მან. 4) დიდუბის წმ. გიორგის ეკლესიას 1. 000 მან. 5) „ დუბის მშობლის ეკლესიას 500 მან. 6) კალენის ეკლესიას თბილისში 1. 000 მან. 7) ხიანის ეკლესიას 1. 000 მან. 8) მტკეთის ეკლესიას 1. 000 მან. 9) მარტყოფის ეკლესიას 500 მან. 10) „ წმ. ანტონის ეკლესიას 500 მან. 11) დიდი ლილოს ეკლესიას 500 მან. 12) წმ. სამების ეკლესიას თბილისში 500 მან. 13) თაწმინდის (მამა დავითის) ეკლესიას 500 მან. 14) სომეხთა წმ. სტეფანეს მონასტერს 500 მან. 15) „განათლებლის“ საზოგადოებას მისის და მისი შეუდღის დ. ზ. სარაჯიშვილის სხედობაზე ქალთა შრომებისათვის სკოლის დასარსებლად და შესანახად ავღაბარში 50 000 მან. 16) მოსკოვის ქართველთა საზოგადოებას 10, 000 მან. 17) ქართულ ფილანთროპულ საზოგადოებას 5, 000 მან. 18) რუსეთის მეგობრთა და მედღენეთა შედეგების სხედგურს ადესში 5. 000 მან. 19) კავკასიის ქართულ სკოლას

10. 000 მან. 20) თბილისის შომავალ ზოლი-
ტუნგუშში (ანუ სხვა რომელი უმადლეოი სსწა-
ვლებელიც იქნება) ფიზიკურ კაბინეთის მოსა-
წყობად 50. 000 მან. 21) მცხეთის სომთავი-
ისის დედათ შინასტერის სკოლის საჭიროებისა-
თვის 5. 000 მან. 22) ქუთაისის დრამატულ
საზოგადოებას თავის საჭიროებათა გასაძღვლად
25. 000 მან. 23) ქალაქ ქუთაისის საქალაქო
თეატრის ასაგებლად 150. 000 მან. 24) ქალაქ
კახკახს ღარბი მოსწყველთა სწყველის ფულით გა-
სასტუმრებლად ერთენების განურჩევლად 30. 000
მან. 25) ქართულ საისტორიო და საეთნოგრა-
ფიო საზოგადოებას 25. 000 მან. 26) წერა-კი-
თხვის გამავრცელებლად საზოგადოების მოსაწყე-
ვლო წიგნების გამოსაცემად და სკოლებს თავის
უშთავრებად მრთველისად სკოლების და-
სასაგებლად და შესანახად 100. 000 მან. 27)
სიტყვა-კანთუდ მწერლობის საზოგადოებას მრე-
მიების დასახიზნად მისის და განსვენებულ მისი
მუუდლის დ. ზ. სარჯიშვილას სასჯლობაზე სე-
უქეთის ბეღეტრისტულ ნაწარმოებისთვის 20
000 მან. 28) ქართულ დრამატულ საზოგადო-
ებას 100. 000 მან 29) შტატარ წიგნაგან დანა-
შავთა სახლშენს 10. 000 მან. 30) ქალაქ თბი-
ლისის სადისტაქრო საჯადმუფთისთვის შენობის
ასაგებლად მისის და განსვენებულ მისი მუუდლის
დ. ზ. სარჯიშვილის სასჯლობაზე 200 000 მან.
სულ 814, 500 მან.

ეს ფულები დანაშნულებსამებრ თანდათან
მიეტემათ შემდეგ არა უგვიანეს 2 წლისა.

ამ ქონების გარდა განსვენებულმა დასტოვა
ქარხნიც და სამრეწველო დაწესებულებანი, რე-
შელსნიც ქალა დასჯლოებთა აფასებენ ორ მი-
ლიონად.

ფირმის და ამ დაწესებულებათა განადგება
მოხდება არა უგვიანეს ექვსი წლისა და რაც თა-
ნხა შედგება უდა გუნაწილდეს წ. კიოთხვის სა-
ზოგადოებას, თბილისის დრამატულ საზოგადო-
ებას და ქართულ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ
საზოგადოებას.

ამ ანდერძის ამსრულებლად დაინშნულნი
არიან: მძა განსვენებულისა და მ ივანეს ძე ფო-
რძაშვილი, და პოთ ივანოვის ძე ფორაქიშვი-
ლი, ალექსანდრე თაგვორცს ძე სარჯიშვილი,
მიხეილ ვასტანგის ძე მანაბუა, და თ დი გი-
ორგი ვასილის ძე მანაბუა.

წერილი აგაბეი

➔ **ქართული თეატრის საზოგადოება** წარმოება
თბილისში წყოსაც მსახიობთა ამხანაგობა კისრულობს
ქართ. დრამ. საზ.—ის დაზარალებით.

➔ **ტარაღიშულად გარდაცვალებულნი გრ-
ხმარხულობის** ხსოვნი არსნი მწავლ მისმა დე-
ოლამ ჩვენი ეურნალი „თეატრი და ცხოვრება“ ამა
წლის ბოლომდე გაუწერა დ. ცხინვალის სამეცნიერ-
ლოს, ხოლო მამ მიხეილა სეზონის გათავებამდე აგა-
რაც ბანხრობო სამეცნიერლოს.

➔ **ს. მ. შ. საზოგადოება** (გარეკახეთი) მარიამობის-
თვის 15 შესღა დამფუძნებელი კრება ქ. შ. წ. კ. გ.
საზოგადოების ხაშვის განყოფილებისა და შესაფერი
შუამდგომლობაც აღიძრა საზოგადოების განყოფილე-
ბის დასაც ნონტეზად. ადგილობრივი გლეხნი ამ საქმეს
დიდის თანაგრძნობით შეხედენ.

➔ **შურ. „თეატრი და ცნობიერება“** სასარ-
გებლოდ ნ. ბ. ყ-სგან მივიღეთ ექვსი (6) მან.

➔ **ახარებათა და ომში დაზარალებულთა** სასარ-
გებლოდ ს. ხაშუხე მღ. ს. ხაბაზიშვილის მიერ წვრილ-
წვრილად შეკრებილი 10 მ. 6 კ. მივიღეთ.

➔ **სად. გურჯაანში** კვირას, მარიამობისთვის
7 გურჯაანის საღვთის უფროსის ლოლაძის თაოს-
ნობით წარმოადგენილ იქმნა „და-ძმა“, ვ. გუნიასი.
საზოგადოება ძალიან კმაყოფილი დარჩა. საერთო შე-
მოსავალი იყო 148 მან. ხარჯი დაახლოებით 58 მან.
შვინდა შემოსავლიდან 25% გადაიღო კავკასიის ფრთ-
ტზე მებძოლ ჯარისკაცთა ოჯახობისთვის, 75% აღ-
გალოზრივ სკუნს გასაშარათათ. — ამ ხაზუმულს ბ.
ლოლაძის მეკლინეობით გურჯაანის სადგურზე ეს მე-
ორეთ გაიბართა წარმოდგენა.

➔ **საბარეჯოში** მარიამობისთვის 6 წარმო-
დგენილ იქმნა „პეპო“.

➔ **არშინ მაღალანში** ავლაბრის თეატრში
ქართულს ენაზე მეოცდღერთჯერ დაიდგმის შაბათს,
მა იამობისთვის 27, მთარგმნელის ვ. გიგოშვილის
გამოსათყვარად (ვ. გიგოშვილის სამხედრო სამსახურში
იწვევიენ).

➔ **თბ. ქართ. ფილარმ. საზ.-ის** სამუსიკო
სკოლაში მოწყვეთა მიღება დიწყება მარიამობისთვის
26, მეკლინეობა—ენეკ ისთვის 1.

➔ **სარამის ძარ. დრამ საზოგადოებას**
გამართა ბავშვების საღამო. აფიშა მეტად შინაარს ანი
და მიმზიდველი იყო, მხოლოდ თვით საღამო ვერ გა-
მოდგა შინაარსიანი, უფერულად ჩაიარა, პატრია
„სკანდალსაც“ ჰქონდა ადგილი და საზოგადოება უკმა-
ყოფილო დაიშალა.

წერილი რედაქციის მიმართ

ქ-ნო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ მოა-
თაქ ოთ თქვენს პატრიცემულ ეურნელ „თეატრი და
ცხოვრება“-ში შემდეგი:



დახლოვებით, სამი კვირის წინთ შეგხვდა ერთი ვინმე ყმაწვილი, რომელიც გამეცნო წულუკიძეთ და ამისხსნა, რომ მატერიალურათ ცუდ მდგომარეობაში იმყოფება და მოსოვა ქუთაისში ჩასასვლელი ფული შემეგროვებინა მისთვის. მეც შევედი მის მდგომარეობაში და შევგრაფე ნაქონებში 9 მან. და ორი კაპეიკი, რომელიც გადავეცი. რადგანაც ჩემგან შეგრაფილი ფული საკმარისი არ იყო ქუთაისში ჩასასვლელად, ამისთვის ზემო აღნიშნული ყმაწვილი გავეცანი ერთს ზეს შეგობად და ვსთხოვე მასაც აქმოიჩინა დახმარებას. მანაც შეუგროვა რამდენიმე მანეთი, მაგრამ სანამ გადასცემდა, სარწმუნო წყაროებიდან გავეცო, რომ ეს ყმაწვილი დახელოვებული ზნატიანია. ამის და მიხედვით შეგრაფილი ფული აღარ გადაეცა; პირიქით ჩემგან გადაცემულ ფულზე უკან მოვთხოვე. მაგრამ მას დაგებრუნებია მხოლოდ ექვსი მანეთი, რომელსაც ფოსტის ხარჯის გამოკლებით გიგზავნი და გთხოვ შემომწიროვლეთა უმრავლესობის სურვილისამებრ გადასცეთ: სამი მანეთი ქართულ თეატრს, და დანარჩენი ორი მანეთი და 85 კაპ. ქართველ მოღვაწეთა აგარაკის ასაშენებელ ფონდისათვის.

ტ. ბერიშვილი

ახალ კლუბში 21 28 აგვისტო

- ორშაბათი — რუსული ოპერეტა
- სამშაბათი — სიმფონიური კონც.
- ოთხშაბ. სიმფონიური კონცერტი
- ხუთშაბ. — ქართ. წარმ. (უფას.); საზანდარი
- პარასკ. — სინემატოგრაფი; მუსიკა.
- შაბ. — სიმფონიური კონ.
- კვირა — საბავშვო ს.ლამო, მუს.ინემატ.

დასაწმინდნი: კონცერტებისა ს.ლამ. 9 სთ... წარმოდგენისა და სინემატოგრა. საღ. 8 1/2 სა სმისაგვლელი ფასი ჩვეულებრივია, მხოლოდ სამშაბათს და შაბათს იხილიან: მანდილოსნები და ტულენტები (ფორმ.) 85 კ. მამაკაცები 1-05 კ.

ხარუხის საოკლუბო

(მიხილის პროსპექტი, № 131)

ერთი კვირის პროგრამა 21—28 აგვისტო
 კვირა — კონცერტი ვანო სარაფელის მოწაწლეობით; საზანდარი.

ორშაბათი — სინემატოგრაფი; სამხ მუსიკა.
 სამშაბათი კონცერტი სიმებიანი ორკ.
 ოთხშაბათი — ქართული წარმოდგენა; ბალეში საშხედრო — მუსიკა

ხუთშაბათი — სინემატოგრაფი; საზანდარი.
 პარასკევი — სინემატოგრაფი; საშხედრო მუსიკა.
 შაბათი — სალამო — მეჯღისი; სიმებიანი ორკესტრი.

კვირა — სინემატოგრაფი; მუსიკა

წარმოდგენა-კონცერტებზე შესვლა უფასოა

სამუსიკო სკოლა ქართ. ფილარმონიულ საოკლუბოს

მოწვევა მიღება დაიწყება 26 აგვისტოდან 10—2 ს.მ-დე დღისით და 5—7 ს.მ-დე საღამოთი სკოლის კანტორაში სლოცკოვის ქ., ზღინიკის სახ. № 4 მასწავლებლებნი: ფორტეპიანოს კლასი ე. დ. აბულოვისა, მ. გ. ანდრონიკოვი-ციკინაშვილისა. ნ. ვ. კალაშნიკოვისა, ე. გ. ქიქოძე, ე. ი. მიაღოვაძო-ტრაკაია, ე. ვ. ფოგელისა. სერიაკა — მ. ტ. ვასილევსკი, პ. ა. ტინენგაუზი ვიოლანჩელი — ე. ნ. კაველინი-ციკი. კონტრაბასი — მ. პინსკი. სიმურთა (სოლო) — მ. ა. კოლოტოვისა. თეორიის კლასები — ზ. პ. ფალიაშვილი. ხორო — ზ. ი. ჩხივადი.

ახალდა მოწვეულია ფორტეპ. მასწავლებელი, პეტროგრადის კონსერვატორიაში სწავლა დამთავრებული პროფეს. მედემის კლასის თავისუფალი ხელოვანი გ. ვ. ალინიკოვისა.

სწავლის ფასი: ფორტეპიანო, სერიაკა და ვიოლანჩელის კლას. 80 მან. წელიწადში., კონტრაბასი 50 მან., სიმურთა 110 მან თეორიის კლას. 25 მან., სწავლის ფასი გადახდება ნახევარი წლით და წინ. პარაკლისი გადახდის იქნება 4 სექტემბერს შუადღის 1 საათზე სწავლა დაიწყება 1 სექტემბერს.

სტ. გრიგოლ ჯუშაბის ძის ხმამაღლის
 გარდაცვალების ორმოცის შესრულების წირვა-პანაშედი გადახდის იქნება ნაძალადევის ივერიის მღვთისმშობლის ეკლესიაში **კვირას, მარტინაშვილისთვის 21**, შუადღის 12 საათზე, რასაც აცხადებს განსვენებულის მშობელინა ზურაბ და ოლა, და-ძმა სოფო და მიხეილ და რამელი დარეკო.



რედაქტორ-გამომცემელი ანნა იმედაშვილისა